ახალი ხარაგაული

380 (11) 11 ივნისი, 2018 წ.

მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ექსკურსია მოეწყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია ძალას არ იშურებს, რომ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებ ბავშვებს ცხოვრება გაულამაზოს. ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ სოფელი და მის მცხოვრებთა მომავალი მუდამ არის ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე თვლის, რომ, რაც მეტი ოჯახი დამკვიდრდება სოფლად, მით მეტი ძალა შეემატება ქვეყანას. ჩვენდა სასიხარულოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში ბევრი მრავალშვილიანი ოჯახია. სწორედ ნიკოლოზ თოფურიძის ინიციატივით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მაღალმთიან ზონაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის მთაწმინდის პარკში ექსკურსია მოეწყო. პარკის ადმინისტრაციამ პატარებს უამრავი ღონისძიება შესთავაზა. ბავშვებმა სხვადასხვა გასართობ პროგრამაში ერთად იმხიარულეს და ატრაქციონებზეც გაერთნენ. მოგვიანებით კი ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ მოზარდებს ფურშეტი მოუწყეს და სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს.

ეკა შავიძე

რგფ-ში დასაფინანსებლად დამატებით ოთხი პროექტი გაიგზავნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს მოსაწონებლად რეგიონული განვითარების ფონდში გასაგზავნი ოთხი პროექტი წარუდგინა. როგორც ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა თემური თაბუკაშვილმა განმარტა, ვინაიდან მიმდინარე წელს გარკვეული მიზეზების გამო საღანძილესა და ვერტყვიჭალაში საბავშვო ბაღები ვერ შენდება, მერიამ ოთხი პროექტი - ვერტყვიჭალასა და საღანძილეში ბაღების მშენებლობა და ბაზალეთსა და ლაშეში გზების რეაბილიტაცია, შემდეგით შეცვალა: დაბაში 11 სკვერის რეაბილიტაცია 175 964 ლარი; ხემაღალში - გზის რეაბილიტაცია 108 300 ლარი; ხიდარში – შარიქაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 120 831 ლარი; ვარძიის გზის რეაბილიტაცი ა(მესამე უბანი) – 121 308 ლარი.

წარმოდგენილ საკითხს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს, თუმცა მათი მხრიდან ბაღების მშენებლობასთან დაკავშირებით დაისვა კითხვები, რომლებსაც მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და მერის პირველმა მოადგილემ არჩილ მაღრაძემ უპასუხეს.

საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ, უკმაყოფილება გამოთქვა, რომ საღანძილის ბაღის მშენებლობა მიმდინარე წელს ვერ ხერხდება. იგი მიიჩნევს, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მეტად პრიორიტეტულია, ვიდრე, რომელიმე სოფელში გზის რეაბილიტაცია. დეპუტატის თქმით, საღანძილის თემში დღევანდელი მონაცემებით ბაღის ასაკის 51 ბავშვია.

დავით კიკნაძის პოზიციას იზიარებს დაბის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა გოგოლაძე. იგი თვლის, რომ ამ ეტაპზე სკვერების მოწყობაზე მეტად, საღანძილეში საბავშვო ბაღის მშენებლობა უფრო მართებულია, ვინაიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სოფლის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.

ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა ნანიტაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაციაზე გაამახვილა ყურადღება. ,,სამწუხაროდ, მონონებული პროექტების სხვა პროექტებით ჩანაცვლება მოხდა. აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით მივმართეთ მერიას და მივიღეთ პასუხი, რომ 2019 წელს მოხდება ბაზალეთში, ნანიტაშვილების უბანში, გზის რეაბილიტაცია.“-აღნიშნა ჭიპაშვილმა.

როგორც მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე განმარტავს, წლის დასაწყისში, როცა რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულისთვის 6 მილიონ 200 ათასი ლარი გამოიყო, საღანძილესა და ვერტყვიჭალაში ბაღების მშენებლობა აღნიშნულ თანხაში შედიოდა. ჯამში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში 26 პროექტი უნდა განხორციელებულიყო. მისივე ინფორმაციით, მერიამ საკონსულტაციო საბჭოზე, მხოლოდ 22 პროექტი წარადგინა, რადგან დანარჩენ ოთხ პროექტზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ იყო მზად და ექსპერტიზა არ ჰქონდა გავლილი. „ვერტყვიჭალაში საბავშვო ბაღის მშენებლობა ხევი-უბისა-არგვეთის გზის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობის გამო გადაიდო. ამჟამად არსებული ბაღის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი განსახლების ზოლში მოჰყვა და საგზაო დეპარტამენტმა მშენებლობის უფლება არ მოგვცა. რაც შეეხება საღანძილის ბაღს, პროექტმა ექსპერტიზა ვერ გაიარა, ამიტომ გამოთავისუფლებული თანხებით სამ სოფელში გზებისა და დაბა ხარაგაულში სკვერების რეაბილიტაცია მოხდება“,- აღნიშნა არჩილ მაღრაძემ.

მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, განცხადებით, თუ რაიმე პრიორიტეტულია დღეს ხარაგაულში, მათ შორის, ყველაზე მთავარი ვერტყვიჭალასა და საღანძილეში საბავშვო ბაღების აშენებაა. „ჩვენ ადგილზე გავეცანით ვერტყვიჭალის ბაღში არსებულ ვითარებას, ვიცოდით კიდეც, რა მდგომარეობაში იყო შენობა და ამიტომ 2018 წლის პრიორიტეტებში განვსაზღვრეთ ახლის აშენება. მშენებლობა რის გამოც გადაიდო დროებით, ყველამ ვიცით. ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი ხორციელდება და საგზაო დეპარტამენტიდან მშენებლობის ნებართვაზე უარი მივიღეთ.“, - აღნიშნა მერმა.

არჩილ მაღრაძის თქმით, ორივე სოფელში ბაღების მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემები მომავალი წლის დასაწყისამდე დარეგულირდება. მისივე განმარტებით, როცა საკითხი ბავშვებს ეხება, იქ ყველა ნიუანსი უნდა იყოს გათვალისწინებული და ბაღები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აშენდეს.

თამარ მაღრაძე

წიფაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

მაღალმთიან სოფელ წიფაში გზის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს აფრასიონ ლურსმანაშვილთან და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროს ჯაბა ბერაძესთან ერთად დაათვალიერა. ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობასაც გაესაუბრნენ და მათ საჭიროებებს ადგილზე გაეცნენ.

სოფელ წიფაში გზის 2270- მეტრიანი მონაკვეთის მობეტონების სამუშაოები მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 235 061 ლარით დაფინანსდა. ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა თანხის 5%-ს შეადგენს.

გარდა ამისა, მიმდინარე წელს მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფელ ბჟინევის ცენტრალური გზის რეაბილიტაციაც იგეგმება. სოფელ ბჟინევში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, მთის განვითარების ფონდიდან 320 310 ლარი გამოიყო. სამუშაობის განხორციელებისათვის ხარაგაულის მერია ტენდერს უახლოეს მომავალში გამოაცხადებს. აღსანიშნავია, რომ გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წელს განხორციელდება.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად მარინე ვეფხვაძე დაინიშნა



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ლია გიგაურის, N521 ბრძანების საფუძველზე ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად მარინე ვეფხვაძე დაინიშნა. აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც დავით კიკნაძე საკრებულოში განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩა.

მარინე ვეფხვაძემ რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა, მათ შორის - გასაუბრებაც. საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა და იგი ოფიციალურად უფლებამოსილების განხორციელებას 30 მაისიდან შეუდგა.

მარინე ვეფხვაძე 1971 წლის პირველ სექტემბერს ხარაგაულში დაიბადა. დაამთავრა მე-2 საჯარო სკოლა, რის შემდეგაც სწავლა თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე განაგრძო. გავლილი აქვს ასევე სხვადასხვა ტრენინგი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. 1998-2003 წწ. გახლდათ საკრებულოს დეპუტატი და ამავე საკრებულოს მდივანი. მუშაობდა გაზეთში, ტელევიზიაში. ტელეკომპანია ,,ევრიკაზე“ მიჰყავდა საავტორო გადაცემა ,,ერთი ცის ქვეშ“. 2013-2014 წწ. საქმიანობდა მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, 2014 წელს კი ხარაგაულის საკრებულოში არჩეულ იქნა დეპუტატად, სადაც განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას ხელმძღვანელობდა.

ქალბატონი მარინესათვის საგანმანათლებლო სფერო უცხო არაა. იგი 1988-1994 წწ. ბორის სკოლა-პანსიონში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. როგორც აცხადებს, ამჯერადაც აქტიურად აპირებს იმ გამოწვევებში ჩართვას, რაც განათლებისა და მეცნიერების ხარისხის განვითარებას ეხება და მაქსიმალურად შეეცდება, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განახორციელოს უფლებამოსილება.

,,საგანმანათლებლო სფეროსთან ბავშვობიდან ვარ დაკავშირებული. მამა მთელი ცხოვრება სკოლაში მუშაობდა, სამი სხვადასხვა სკოლის დირექტორი იყო და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს. მახსოვს, რამდენი ბრძოლა დასჭირდა კიცხის სკოლა-ინტერნატისთვის სტატუსი რომ შეენარჩუნებინა. შემდგომ, როცა მეც ამ სფეროს წარმომადგენელი გავხდი, შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მოსწავლეებს მეგობრულ გარემოში ეგრძნოთ თავი. როდესაც საკრებულოში კომისიის თავმჯდომარედ ვმუშაობდი, ახალგაზრდებთან მჭიდრო კომუნიკაცია მქონდა და შემეცნებითი-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებებს ვაწყობდით. სიმბოლურია, ჩემი რესურსცენტრში მუშაობის პირველი დღე ბორის სკოლა-პანსიონში გამართულ ღონისძიებას დაემთხვა, იმ სკოლას ვეწვიე, სადაც ჩემი კარიერა დაიწყო და ეს აღვნიშნე კიდეც შეხვედრაზე. უდიდესი პასუხისმგებლობა მაკისრია. ვფიქრობ, ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი საკითხი დგას რესურცენტრის წინაშე. პედაგოგებს სათანადო მხარდაჭერა და მოტივაცია სჭირდებათ. ხარაგაული ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა განათლებული, კულტურული ადამიანებით. სკოლას, ოჯახს, საზოგადოებას, ყველას ერთად გვაკისრია დიდი მისია, რათა ტრადიციის შესატყვისი თაობები აღვზარდოთ. მათ უნდა გაითავისონ, რომ განათლების გარეშე ყოველგარი წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.“ - აღნიშნა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა.

ეკა შავიძე

მინდა, საკუთარი ცხოვრებით მაგალითი მივცე ახალგაზრდებს...

რამდენიმე ხანია, ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად კონსტანტინე ბერაძე დაინიშნა. კონსტანტინე 1993 წლის 9 აპრილს თბილისში დაიბადა, დაამთავრა 123-ე საჯარო სკოლა და სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ტურიზმის მიმართულებით განაგრძო. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მუშაობა ხარაგაულის ტურიზმის განვითარების ცენტრში დაიწყო. 2016-2017 წლებში იყო ხარაგაულის საოლქო- საარჩევნო კომისიის დროებითი წევრი ცესკოდან. ამბობს, რომ ძალიან ბედნიერი ადამიანია, რადგან ცხოვრობს და მუშაობს იქ, სადაც თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობს. ძალიან უყვარს ხიდარი და მოხარულია, რომ დღეს უფრო მეტად მიეცა შესაძლებლობა, გააკეთოს, ის, რაზეც ბავშვობაში ხშირად ოცნებობდა. ახალგაზრდა და ენერგიული რწმუნებული მაქსიმალურად ცდილობს, მზრუნველობა არ მოაკლოს სოფლის მცხოვრებთ და თითოეული ხიდრელის გასაჭირი გულთან მიიტანოს.

– ,,რომ გითხრათ, მარტივი იყო თბილისიდან სოფელში დაბრუნება, არ ვიქნები მართალი, მაგრამ აქედან წასვლა, ვიცი, ნამდვილად გამიჭირდება. თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ არ მახსენდება არც ერთი თავისუფალი დღე, რომელიც ბებია-ბაბუის ეზოსთან არ იყოს დაკავშირებული. არ მინდოდა, მათი სახლის კარები ოდესმე დაკეტილიყო. როცა დაბრუნების შესაძლებლობა მომეცა, ბევრი არც მიფიქრია და ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ახალგაზრდა ადამიანისთვის ძნელია სოფლად ცხოვრება, მაგრამ თუ ჩვენ არ გადავდგით ეს ნაბიჯი, მომავალი თაობები აქეთ საერთოდ არ გამოიხედავენ. მინდა, საკუთარი ცხოვრებით მაგალითი მივცე მათ, დაუბრუნდნენ სოფელს, იშრომონ და გააძლიერონ ქვეყანა. შრომის გარეშე წარმოუდგენელია წარმატება. გარდა იმისა, რომ ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულს ვხელმძღვანელობ, დაკავებული ვარ სოფლის მეურნეობითაც. წლების წინ დავინტერესდი მეფუტკრეობით და შევიძინე ფუტკრის რამდენიმე პაკეტი. თან პარალელურად ვსწავლობდი მის მოვლას და, ვფიქრობ, ეს საქმე დღეს კარგად გამომდის. ვიდრე ადამიანი საკუთარი შრომით არ შექმნის რაიმე ღირებულს, ისე სხვისი გაკეთებულის დაფასება გაუჭირდება. მახარებს ის ფაქტი, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ადამიანი დაბრუნდა სოფელში და ხელი მოჰკიდეს მეურნეობას.

- გვესაუბრეთ ხიდარში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

- მახსოვს, რა სავალალო მდგომარეობაში იყო სოფელში მისასვლელი გზა. ფაქტობრივად გზა არ არსებობდა. დღეს კი მოასფალტებულია და დაწყებულია შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციაც. ბეტონის საფარი დაიგო წმინდა გიორგის ტაძრამდე მისასვლელ გზაზე. რამდენიმე დღის წინ საკრებულომ მოიწონა შარიქაძეების უბნის გზის მობეტონების პროექტიც. ასევე ეტაპობრივად გაკეთდება ჯორტებისა და ბაჩიაშვილების უბნის გზებიც. ალბათ, უახლოეს მომავალში გარე განათებაც მოეწყობა და გაზიფიცირებაც მოხდება. ამის შემდეგ კი თამამად შეგვეძლება ვთქვათ, რომ სოფელი სრულად მოწესრიგებულია. აქ ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელიც 2015 წელს აშენდა. გარდა ამისა, მოხდა დაწყებითი საფეხურის სკოლის ძველი შენობის დემონტაჟი და შენდება ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა, რომელიც სექტემბერში 17 მოსწავლის მისაღებად იქნება მზად. სხვა სოფლებთან შედარებით ბავშვთა კონტინგენტი საკმაოდ მაღალია, ხიდარი არც თუ ისე დიდი სოფელია, მაგრამ საჯარო სკოლაში ამჟამად 80 მოსწავლე სწავლობს.

- როგორ გესახებათ სოფლის განვითარების გეგმა, რას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი?

- გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ძალიან დიდი პერსპექტივა არის სოფელში აგროტურიზმის გასავითარებლად. არის ადგილები, საზაფხულო საძოვრები, სადაც შესაძლებელია ტურისტული ბაზის გაკეთება. იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც არაა აუცილებელი კომფორტული სასტუმროები და უფრო მეტად ველური ბუნება ხიბლავთ, ხიდარში ამის შესაძლებლობა ნამდვილადაა. აქ შესაძლებელია ასევე ადგილზე ნატურალური პროდუქტის დაგემოვნება და მის დამზადებაში მონაწილეობის მიღება. ყოველივე ეს კი ადგილობრივებს დამატებით შემოსავლებს გაუჩენს და სოფელიც უფრო გაძლიერდება. სავსებით არაა ეს საკითხი დიდ პრობლემებთან დაკავშირებული. აუცილებელია სწორად დაგეგმვა და რეკლამირება. მაქვს იმედი, რომ აგროტურიზმი ხიდარში კარგად განვითარდება. არიან დაინტერესებული ადამიანები და ველოდები მათგან პასუხს.

- რა არის ის მთავარი პრობლემები, რაც აწუხებს მოსახლეობას?

-ხიდრელები ძალიან მშრომელი და ერთგული ხალხია, გაჭირვების დროს საოცარი თანადგომა იციან, მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც, სამუშაო ადგილების შექმნაა. ასევე მოსაწესრიგებელია რამდენიმე უბანში საგზაო ინფრასტრუქტურა. ჩვენ, რაც შეგვიძლია, ამ ადამიანებს გვერდით ვუდგავართ. სასიამოვნო იყო ის მცირედი ყურადღება მრავალშვილიანი დედებისთვის, რაც ხიდრის საჯარო სკოლამ და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა, დეპუტატ ნონა ზურაბიანთან ერთად გავაკეთეთ. დედებს სიმბოლურად სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით. დიდი დახმარება გავუწიეთ ასევე გრიგოლ ბერაძის ოჯახს, რომელსაც გასულ წელს სახლი დაეწვა და მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობს. მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით ამ ოჯახს ახალი სახლი შევუძინეთ. დავიქირავეთ ასევე ადამიანი, რომელიც დაზარალებულ დედა-შვილს ეხმარება. მაქსიმალურად ვცდილობთ, ყურადღების გარეშე არავინ დავტოვოთ და დახმარების ხელი ყველას გავუწოდოთ.

- ახალგაზრდა ხართ და უკვე ბევრ რამეზე ფიქრობთ, ბევრსაც აკეთებთ...

- ჩემთვის მთავარი და ღირებული ჩემი ოჯახია. ის ადამიანები, რომლებიც მუდამ ჩემ გვერდით არიან. რაც შეიძლება მეტი სითბო და სიყვარული უნდა ვაჩუქოთ ერთმანეთს. ყველა წარმატება სიყვარულს მოაქვს, ამის გარეშე ფასი არ აქვს ცხოვრებას. ვისურვებდი, ბევრი კარგი საქმის გაკეთების შესაძლებლობა მომეცეს ჩემს სოფელში და არავის გაუჩნდეს აქედან წასვლის სურვილი.

ლელა გუგულაშვილი

ფარცხნალში ბედი ვიპოვე...

ჩვენ გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც უშურველად უნაწილებენ სიყვარულს ყველას - მეზობელს, ახლობელს, შთამომავლებს; საკადრისად ხვდებიან მტერსაც და მოყვარესაც... და ხშირად, მათი თავმდაბლობის გამო, ჩვენთვის შეუმჩნეველია ის არსებითი განსხვავება, რაც მათ სხვათაგან გამოარჩევს, არ ვიცით, რომ ის ,,სხვა ენაზეც" ლაპარაკობს და აზროვნებს -ეს პოეზიის ენაა, ღვთიური, მადლიან -სიყვარულიანი...

გიორგი (ჟორა) მაღრაძე წარმოშობით ლეღვნელია. ლეღვანშია მის წინაპართა საძვალე. ყრმობისას ლეღვანში ეზიარა შრომის, მაღალზნეობისა და მოყვასის სიყვარულის მადლს, რომელიც შემდეგ გაიტოტა, გაძლიერდა, მთელი მისი თვალსაწიერი და სამომავლო გზა მოიცვა...

მაინც რა ბედზეა საუბარი, რა ბედი იპოვა ფარცხნალში? იკითხავს მავანი, რომელმაც არ იცის, რა არის ფარცხნალი გიორგი (ჟორა) მაღრაძისათვის და, პირიქით, გიორგი ფარცხნალისათვის...

ფარცხნალი ბუნებით, შრომისმოყვარე და სიყვარულით გულსავსე ადამიანებით, საამაყო წარსულითა და იმედიანი მომავლით ყველაფერია ამ ნაღდი ქართველისათვის იმიტომ, რომ მართლაც აქ იპოვა ბედი-უმთავრესი, ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, ნინელი ბუაჩიძე; აქ მამასავით შეიყვარა სიმამრი, აწ განსვენებული ანდრო ბუაჩიძე- ისტორიკოსი, მოსწავლეთა უამრავი თაობის გზამკვლევი. აქ ჰყავს სიდედრი, ულამაზესი, უკეთილშობილესი, ოთხმოცდათოთხმეტ წელს გადაცილებული რუსი ეროვნების ქალბატონი, ვალენტინა კალამაგინა, რომლისადმი სიყვარული და პატივისცემა ნამითაც არ განელებია და სიდედრი ქალბატონიც საკუთარ შვილებში არ განარჩევდა და არც ახლა განარჩევს სასურველ სიძეს.

ფარცხნალში ბედი ვიპოვე-
მერე რა ბედი!
თურმე არწივი ყოფილა-
მეგონა გედი... -წერს ბატონი გიორგი.

დიახ, არწივის ძლიერი ფრთებით გადაეფარა ნინელი ბუაჩიძე ლეღვნელი ვაჟკაცისაგან მისკენ წამოსულ დიდ სიყვარულს, გადაეფარა, უფრო გააძლიერა, მაცოცხლებელი სხივებით ააელვარა...

სამი ქალიშვილის დამფრთიანებელ ანდრო ბუაჩიძის

ოჯახს ვაჟკაცი ჰყავდა სანატრელი და ეს ნატვრაც აუსრულდა, როცა სიძე, გიორგი მაღრაძე, საბოლოოდ დამკვიდრდა ამ ტრადიციული ოჯახის კერაზე და თავისი ზნეობით, საქმითა და ადამიანებთან ურთიერთობის გამორჩეული კულტურით, გახდა ფარცხნალელთათვის ,,ერთ სულ და ერთ ხორც".

ბუნებრივია, ამჯერად წერილის ავტორს არ აინტერესებს გიორგი მაღრაძე- პოეტი, თუმცა მის პიროვნულ მთლიანობაში წარმოდგენა ამის გარეშე შეუძლებელია. დიახ, როცა პოეტური შთაგონება ეწვევა და დროებით გააშორებს ყოველდღიურ ყოფა-საზრუნავს, ქაღალდზე იღვენთება მისი გულიდან წამოსული მაღალი გრძნობების შესატყვისი სტრიქონები ოჯახზე, ჰუმანიზმზე, შრომის მადლზე, ქვეყნის სატკივარზე და სურვილი, რომ განვერიდოთ გათითოკაცებას, სიძულვილს, შურს, სიხარბეს, გაუტანლობას... თუმცა ამგვარი პოეტური გზნებით შექმნილ ლექსებს ჯერ მზის სინათლე არ უხილავს, ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად არ გამხდარა. და გიორგი-პოეტი ჯერ მხოლოდ ოჯახის წევრებისა და ახლო მეგობართათვის არის ნაცნობი. მჯერა, ამ საუკეთესო ქართველ კაცს მალე ამ კუთხითაც გაიცნობს ჩვენი საზოგადოება.

ღამის წყვდიადში ჩურჩულებ მშვიდად
დილა მზის სხივით დაგიკოცნია...
ვინც ერთხელ შეგსვა, ვერ დაგივიწყებს-
კახორის მადლით დაგილოცნია!

ბატონო გიორგი!

ვკითხულობ ამ მშვენიერ სტრიქონებს და მახსენდება ქართული პოეზიის ამირანი, დიდი გალაკტიონი, რომლის ნატერფალები ახლაც აჩნევია ფარცხნალის წმინდა მიწას. ამ უმშვენიერეს სოფელში ბევრი ანკარა წყარო გადმოჩუხჩუხებს, მაგრამ, ჩემი წარმოდგენით, ეს სწორედ ის წყაროა, რომელიც იდილიურადაა დასურათებული იზა ვეფხვაძის წიგნში ,,ხარაგაული".

...ხარაძეების უბნიდან სკოლისაკენ მიმავალ გალაკტიონს თავს აწონებდნენ ბუაჩიძეთა და ხარაძეთა გასათხოვარი ქალიშვილები. ნინა, მაშიკო, ივლიტე, დონიკა მთელ დღეს რეცხავდენენ ამ წყაროსთან სარეცხს, რომ როგორმე მიეპყროთ ყმაწვილი გალაკტიონის ყურადღება.

***

ალბათ უმჯობესი იქნებოდა ამ საგაზეთო წერილში უპირველესად ის შრომითი პათოსი გამეანალიზებინა, რომლითაც ასე ლამაზად დაიწერა თქვენი და თქვენი მეუღლის შრომითი ბიოგრაფია. მინდა, მკითხველმა იცოდეს,რომ ბატონმა გიორგიმ ორმოცდაოთხი წელი უძღვნა ჩვენი მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთ გიგანტს- ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, ხოლო მისმა მეუღლემ -ოცდათერთმეტ წელზე მეტი. მთელი ოჯახური დინასტია იყო ჩართული ქარხნის წინსვლა-გაძლიერებაში. აქ მუშაობდნენ ქალიშვილები, სიძეები, ყველამ ერთად ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქარხნის შრომით მატიანეში.

***

,,სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია", -უთქვამს ბრძენს. ახლა, როცა ყველაზე მეტად სჭირდება ქვეყანას სოფლის გაძლიერება, როცა დაცარიელებული უბნები და დაკეტილი სახლები კვლავ მოელის გამრჯე მარჯვენას, სიცოცხლის აღორძინებას, ფარცხნალის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში, რომელსაც „სასახლეს" ეძახიან, ცხოვრობს სოფელთან მყარი ფესვებით შეზრდილი გიორგი მაღრაძის ოჯახი. აუწერელი სიხარული ისადგურებს კერაზე, როცა ულამაზესი ეზო ვეღარ იტევს გიორგისა და ნინელის შთამომავალთ- სამ ქალიშვილს, რვა შვილიშვილსა და შვიდ შვილთაშვილს. დაე, ღონიერ და გონიერ კაცთა სოფლისაკენ ლტოლვით კიდევ უფრო გაძლიერდეს საქართველოს ხვალინდელი დღე!

მერი გიორგიძე

მარელისის სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიულოცეს

პირველ ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე და ლეღვნის მაჟორიტარი დეპუტატი ნიკოლოზ მაღრაძე მარელისში სასკოლო მზაობის ჯგუფს სტუმრობდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცეს და სასკოლო მზაობის ჯგუფს საჩუქრად ინვენტარი (სკამები) გადასცეს.

,,მინდა, ყველა პატარას მივულოცო ეს განსაკუთრებული დღე და ვუსურვო, პირველ რიგში, ბედნიერება, ჯანმრთელობა და ულევი სიხარული. ბავშვებზე ზრუნვა, მათი უფლებებისა და განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თითოეული ადამიანის ყოველდღიური საზრუნავია. ჩვენ პატარები ყოველთვის გვახსოვს და ყველაფერს ვაკეთებთ მათ გასახალისებლად, "-აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ არჩილ მაღრაძემ, პატარებს ლაღი ბავშვობა, ნათელი მომავალი და წარმატებები უსურვა. მერის პირველი მოადგილის თქმით, ბავშვების ჯანსაღი ზრდა-განვითარება ხელისუფლების პრიორიტეტია და არაფერს დავიშურებთ, რომ მათ უკეთესი მომავალი შევუქმნათ.

შეგახსენებთ, რომ 1949 წელს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე დააწესა. 1950 წლიდან ეს დღესასწაული ყოველწლიურად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება.

ეკა შავიძე

შენ დამრჩი!...

სრული ჭეშმარიტებაა ბრძენკაცის ნათქვამი, რომ თეატრი ცხოვრების სკოლაა, რომელიც გვიჩვენებს გზას პრობლემების გადასაწყვეტად, უკეთეს ხვალინდელ დღესთან შესახვედრად... მაგრამ შეარჩიო საზოგადოებისათვის მეტად აქტუალური საკითხი, ჩაიფიქრო სპექტაკლით ყველა ის გზა, ყველა ის ნიუანსი, რაც მაყურებელს დიდ სიამოვნებასთან ერთად დიდ საფიქრალსაც აღუძრავს, ეს რეჟისორის პროფესიონალიზმსა და იმ ხედვაზეა დამოკიდებული, რითაც სპექტაკლის მთავარი სათქმელი ზუსტად იქნება მიტანილი მაყურებლამდე. ამ მიმართებით მორიგი გამარჯვება იზეიმა ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა სპექტაკლით ,,ორნი". (რეჟისორი და სცენოგრაფი ირინე ჩხეიძე, მუსიკალური გამფორმებელი, ტექნო-მუსიკოსი ანუშკა ჩხეიძე, მხატვარ-შემსრულებელი გაიოზ შუბითიძე, როლებში: ირინე ჩხეიძე, ვასილ კიკნაძე, ლია ჭიპაშვილი, გიორგი ჭიპაშვილი; გიგა ხიჯაკაძე -მეორე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი.

სპექტაკლი დაიდგა თანამედროვე დრამატურგის, მაკა კუკულავას, პიესის მიხედვით; ესაა ერთმოქმედებიანი ფსიქოლოგიური დრამა.

***

ხვალ კიდევ ერთი ოჯახი უნდა დაინგრეს, კიდევ ერთი ბზარი გაუჩნდება საქართველოს ძლიერების ფუძესა და ბალავარს...

შთამბეჭდავი რეჟისორული გადაწყვეტა- სცენაზე დაცარიელებული ოთახის ფონზე, ფანჯრის მიღმა ჩანან ორნი, დომინირებს მხოლოდ შავი და თეთრი ფერი, ორთა მიმიკა, ხელების დაძაბული მოძრაობა და კამათი, უსასრულო კამათი...

წამიც და მბრუნავი სცენით ისინი: ანა (ირინე ჩხეიძე) და სანდრო (ვასილ კიკნაძე), დაცარიელებულ ოთახში გადმოინაცვლებენ, სადაც აღარც სკამია, აღარც საწოლი, მხოლოდ უკვე წასაღებად გამზადებული რამდენიმე ყუთი და საკიდზე ერთადერთი მრავლისმეტყველი წითელი კაბა...ხვალ ამ ბინას სხვა დაეპატრონება. დაძაბული, ძალზე ხმამაღალი კამათით მაყურებელი ეცნობა ანასა და სანდროს ოცდაათწლიან თანაცხოვრებას. მართალია, სიყვარულით შეუღლდნენ, მაგრამ ოჯახური ბედნიერება ვერ მოიპოვეს. სანდრო სულ მივლინებაშია, თანაც თავს ვერ აღწევს სულისშემხუთველ ეჭვიანობას. ანამ ოქროს წლები შესწირა სანდროს და გულდაწყვეტით აღიარებს, რომ ეს წლები მისთვის დაკარგულია. ამაოდ ელტვოდა ცოლქმრულ ბედნიერებას, დიდი რუდუნებითა და გემოვნებით შერჩეული ნივთებით ალამაზებდა ოჯახს, დღეს კი ყველაფერი გაასხვისა, გააჩუქა, გადაყარა...

მათი სამი შვილის სევდას ამერიკიდან სკაიპით ჩართული ლუკა (გიგა ხიჯაკაძე) გამოხატავს. შვილის ხმაში ჩაძირულია დიდი მონატრება მშობლებისა, თავისი წყნარი ოთახისა, მწარე სინანული - მშობლების გაყრის გადაწყვეტილებით გამოწვეული. ნეტავ სად გადის მშობლების ურთიერთობაში სიყვარულ-სიძულვილის ზღვარი, ნუთუ არ მიიგნება ძალა, რომელიც გადაწონის სიძულვილს- აინტერესებს ლუკას...

კამათით, ცოლ-ქმარს შორის დაძაბული ურთიერთობით სულშეძრული მაყურებელი ერთბაშად საწინააღმდეგო, ბედნიერ სამყაროში ინაცვლებს, როცა სცენაზე ცოცხლდება ეპიზოდი ანასა (ლია ჭიპაშვილი) და სანდროს (გიორგი ჭიპაშვილი) ოცდაათი წლის წინანდელი პირველი შეხვედრისა... აქვე აღვნიშნავთ, რომ მაყურებელი უკვე შეჩვეულია ირინე ჩხეიძისა და ვასილ კიკნაძის მაღალ სამსახიობო ოსტატობას. მოხიბლულია მათ მიერ გარდასახული თეატრალური სახეებით, მაგრამ ამჯერად ნამდვილად აღტაცებაში მოდის პირველი პაემნის გამცოცხლებელი მსახიობებით. რაოდენ ღრმაშინაარსიანი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა იმ წითელ კაბას, რომელიც საოცრად ელეგანტურს ხდიდა ანა-ლიას ყოველ მოძრაობას. დამაჯერებელი და შთამბეჭდავი იყო ახალგაზრდა სანდროს სცენური სახე - გიორგი ჭიპაშვილი.

***

ფსიქოლოგიური დრამით მოქმედება ერთ ღამეში მიმდინარეობს. გადაუღებლად წვიმს. სწორედ წვიმამ შეჰყარა ისევ ნაჩხუბარი ცოლ-ქმარი გასაყიდად გამზადებულ ბინაში, მთელი ღამე კამათში გაილია, მოახლოვდა განთიადი, გადაიღო წვიმამ, ბედნიერების მომასწავებლად ისმის ჩიტების ჭიკჭიკი, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს შესატყვისი მუსიკა. მოქმედება ფინალისკენ მიემართება. ანას გონებაში უტრიალებს მეუღლის სიტყვები: - მე შენ მიყვარხარ, მე შენ მჭირდები, ალბათ, შენც გჭირდები... უნებლიეთ ოთახში შემობრუნებულ ანას კითხვას შეაგებებს სანდრო: -რაღად შემოხვედი, რა დაგრჩა?

ანას პასუხი: შენ! და მაყურებელმაც შვებით ამოისუნთქა. სიყვარულმა თავისი ძალმოსილების აპოგეას მიაღწია ორთა ურთიერთობაში. დაკარგული, თითქმის მინავლებული ეს ღვთიური გრძნობა, ისევ ამზევდა ცოლ-ქმრის სულში...და კვლავ ფანჯარა, ფანჯრის მიღმა ერთმანეთს გადახვეული და ბედნიერი ანა და სანდრო...

***

სპექტაკლში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა მუსიკას (ტექნო-მუსიკოსი ანუშკა ჩხეიძე). როგორც ცნობილია, ანასთვის ეს იყო მეორე შეთავაზება. პირველად მან მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლი ,, ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი". ამჯერადაც იგი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა მინდობილ საქმეს და მაყურებლისაგან სპექტაკლის აღიარებაში დიდია მუსიკალური გამფორმებლის წვლილი, მაყურებელი ხედავს, თუ რამდენჯერ იქმნება სპექტაკლის ორ პერსონაჟს შორის დაძაბული სიტუაცია, რომელსაც შემდეგ, შესაბამისად, მოსდევს განმუხტვა და ეს მთელი სიზუსტითაა აღქმულ-გადმოცემული მუსიკის ენით...

მარინე ხვედელიძე, მესამე საჯარო სკოლის დირექტორი, საკრებულოს დეპუტატი:

,,სპექტაკლის პრემიერამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში კულტურა და ხელოვნება სათანადოდ არის წარმოჩენილი. სპექტაკლმა დაგვაფიქრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ოჯახი, ცოლ-ქმრის ურთიერთობა, რომ კონფლიქტური სიტუაციები სათანადოდ ჰპოვებს გამოხატულებას შვილებში. სიამაყითა და კმაყოფილებით მინდა, აღვნიშნო ირინე ჩხეიძისა და ვასილ კიკნაძის სამსახიობო ოსტატობა და პროფესიონალიზმი. კვლავ დიდ სიხარულსა და წარმატებებს ვუსურვებ მათ და მთელ შემოქმედებით ჯგუფს".

ნინო ბარბაქაძე, მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი: ,,სპექტაკლიდან ემოციებით დატვირთული დავბრუნდი. არაფერი იყო ზედმეტი, გადაჭარბებული. ველოდი, რომ ირინე ჩხეიძე და ვასილ კიკნაძე კვლავ მოგვხიბლავდნენ სცენური სახეებით და არ გამმტყუნებია იმედი. აღმაფრთოვანა ლია ჭიპაშვილმა. მე მასში რეალური ახალგაზრდა ანა-ირინე დავინახე, ხმის ტემბრით, სილამაზით, მიხვრა-მოხვრით. ასევე შემიძლია შევაფასო სანდრო-გიორგი ჭიპაშვილი. ერთხელ კიდევ დიდი მადლობა მშვენიერი თეატრის მშვენიერ დასს ამ დიდი სიამოვნებისთვის."

ძვირფასო მკითხველო!

ახალა ხარაგაულიდან ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის რვაასმაყურებლიან დარბაზში გადავინაცვლოთ, სადაც 22 მაისიდან 8 ივნისამდე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი მიმდინარეობდა. შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი რეჟისორ ირინე ჩხეიძის ხელმძღვანელობით უკვე მეექვსედ ღებულობს მონაწილეობას აღნიშნულ ფესტივალში. პირველ წელსვე (2012წ.) დასის მიერ ნაჩვენებმა სპექტაკლმა (,,თანამდევი სული") გრანპრი დაიმსახურა, მომდევნო წლებში წარდგენილი სპექტაკლებიც საამაყო წარმატებებით აღინიშნა. მიმდინარე წლის 2 ივ-

ნისს ფესტივალზე სპექტაკლი ,,ორნი" უჩვენეს.

აღნიშნულმა სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და ერთ-ერთი მთავარი პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ირინე ჩხეიძეს გადაეცა.

სპექტაკლს კომპეტენტური ჟიური (ხელმძღვანელი თეატრმცოდნე ნერონ აბულაძე, წევრი თეატრმცოდნე დოდოშკა ხურცილავა) აფასებდა. ფესტივალის საზეიმო დახურვას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, მიხეილ გიორგაძე, ვიცე-გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე დაესწრნენ.

***

არ შემიძლია, ყურადღების მიღმა დავტოვო ფაქტი, თუ როგორ გაითავისა 2 ივნისს ქუთაისელმა მაყურებელმა სპექტაკლით მიწოდებული აქტუალური თემა- ოჯახის სიმტკიცე, ოჯახის ხვალინდელი დღე. როცა ფინალში სანდრო -ვასილი ეკითხება ანა -ირინეს: - რაღად შემოხვედი, რა დაგრჩა? მაყურებელმა პასუხი დაასწრო ირინე ჩხეიძეს და რამდენიმე მათგანმა ერთად წამოიძახა - შენ!

გოჩა გიორგიძე- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი:

„საოცრად ამაყი ვარ, ქალბატონო ირინე, რომ მეც იმ ხარაგაულის შვილი ვარ, სადაც თქვენნაირი ნიჭიერი ადამიანები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. მოვლენათა აღქმის საოცარი უნარი, სიღრმე და გათავისება, რაც გადმოეცით ამ სპექტაკლში, კიდევ ერთხელ ამტკიცებს თქვენს შემოქმედებით შესაძლებლობებს. ეს სპექტაკლი არის გაკვეთილი და მაგალითი ცხოვრებისა, მაგალითი იმისა, რომ ყოველდღიურობასა და ეჭვებში არ უნდა დაიკარგოს ჭეშმარიტი სიყვარული".

P.S. მინდა დავაანონსო, რომ სპექტაკლი ,,ორნი" ხარაგაულში განმეორებით იქნება ნაჩვენები 13 ივნისს, ოთხშაბათს, 15 საათზე.

მერი გიორგიძე

საღაც არ უნდა ვიყო, ჩემი საქმით ყოველთვის შევძლებ საქართველოსთვის სიკეთის მოტანას...

მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინიციატივით, ხარაგაულელი ნათია კვანტრიშვილი უფროსკლასელებს შეხვდა და საკუთარი გამოცდილებები გაუზიარა. ნათია ამჟამად გერმანიაში მაგისტრატურაში სწავლას ასრულებს და ერთ-ერთ კომპანიაში საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს. მან დიდი გზა გაიარა და ბევრი იშრომა წარმატების მისაღწევად. თვლის, რომ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა და დისციპლინა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ გზას. მთავარია, სხვათა პატივისცემა, საკუთარი თავის მოსმენა და სიკეთით ცხოვრება შეგვეძლოს. ვუსმენდი ამ საოცარ გოგონას და გული სიხარულით მევსებოდა. ნამდვილად საამაყოა, როცა ქვეყნის გარეთ საქართველოს ასეთი ახალგაზრდები წარმოაჩენენ...

- ნათია, გვიამბეთ თქვენი ბავშვობის შესახებ, სად დაიბადეთ, როგორ გარემოში იზრდებოდით...

- ხარაგაულში დავიბადე და შვიდ წლამდე ოჯახთან ერთად სოფელ კიცხში ვცხოვრობდი. ვსწავლობდი კიცხის საჯარო სკოლაში. შემდგომ თბილისში გადავედით საცხოვრებლად. მიუხედავად ამისა, მთელი ჩემი ბავშვობა და საუკეთესო წლები ამ ულამაზეს კუთხეს უკავშირდება. ხშირად ვამბობ, ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი ოჯახმა და იმ გარემომ ითამაშა, სადაც გავიზარდე. აქ ვისწავლეთ მე და ჩემმა დედამიშვილებმა ადამიანების სიყვარული, პატივისცემა, სოლიდარობა და თანადგომა. ზაფხულს სულ კიცხში ვატარებდი, ბავშვები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით წიგნების კითხვასა და ფილმების ყურებაში, ვდგამდით სპექტაკლებს. ახლოს მდინარე არ გვქონდა და ხშირად გადმოვდიოდით ხარაგაულში, ჩხერიმელაზე. სოფლის ღელეში ბევრჯერაც გვითევზავია. თბილისიდან ყოველთვის მიგვყავდა მეგობრები დასასვენებლად.

- როგორ დაიწყო თქვენი კარიერა?

-ბავშვობიდან ვოცნებობდი, საზღვარგარეთ მესწავლა. როდესაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავირიცხე, ვცდილობდი, კარგად მესწავლა, რათა მზად ვყოფილიყავი უცხო გარემოში სწავლისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ წავედი გერმანიაში და გავხდი მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტი. ჯერ ბაკალავრის ხარისხი გავიარე, შემდეგ კი - მაგისტრატურა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ, შემდეგ მიუნხენში შეძენილმა უნარ- ჩვევებმა, ჯანსაღ კონკურენციაში ყოფნამ, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩემი გზა წარმატებისკენ.

-რა მიმართულებით გააგრძელეთ სწავლა და როგორია სასწავლო პროცესი, თქვენი დღის რეჟიმი?

-ყოველთვის მაინტერესებდა საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია. სკოლიდან მოყოლებული, გაძლიერებულად მქონდა ისტორიის, გეოგრაფიისა და უცხო ენების მიმართ სიყვარული. ამიტომ პროფესიაც ამ მიმართულებას დავუკავშირე. მაგისტრატურაში მიმართულებად ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია და დიპლომატია ავირჩიე. ამ ქვეყნის დიდმა სიყვარულმა და ინტერესმა განაპირობა ის, რომ სხვადასხვა დროს მოკლე სასწავლო ტრეინინგ-კურსებით ვიყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მინდოდა, ცოტა ხნით მეცხოვრა მრავალფეროვან გარემოში, ჩემი თვალით მენახა რაც მაინტერესებდა. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, გერმანიაში ძალიან ინტენსიური იყო. თავდაპირველად სირთულეს წამოადგენდა ენობრივი ბარიერი, რადგან შეფასების დროს არავინ ითვალისწინებს, ვინ ხარ- გერმანელი, ამერიკელი თუ ქართველი. ყველა სამართლიანად იმ შეფასებას იღებს, რასაც იმსახურებს. მაგრამ არ გამჭირვებია და ადაპტირება მალევე მოვახდინე. დრო კარგად და ორგანიზებულად მქონდა განანილებული სამეცადინოდ და სამუშაოდ. განტვირთვასაც ვასწრებდი და შაბათ-კვირას ყოველთვის ვცდილობდი, მეგობრებთან ერთად ვყოფილიყავი.

-რა გახდა გერმანიაში სწავლის გაგრძელების მთავარი მოტივაცია? და რატომ აირჩიეთ ეს ქვეყანა?

-გერმანია ევროპაში ყველაზე განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანაა. ქვეყნის სიძლიერე, რა თქმა უნდა, ასევე აისახება კულტურისა და განათლების სფეროებზე. აქ თავისუფლად შეუძლია სტუდენტს სწავლასთან ერთად მუშაობა. სწავლაც უფასოა და სწორედ ეს იყო უმთავრესი, რის გამოც ავირჩიე ეს ქვეყანა.

- რა იყო ყველაზე დიდი სირთულე და შიში, რომელიც დაგძლევიათ?

-ყველაზე დიდ სირთულეს და შიშსაც, ალბათ, პირველი იმედგაცრუება ან წარუმატებლობა წარმოადგენს. არ ყოფილა ისე, რომ ყველაფერი მარტივად გამომსვლოდა. მარცხი გვაბნევს, გვგონია დამთავრდა, რაც გვინდა, იმას ვერ მივაღწევთ, მაგრამ ასე ნამდვილად არაა. ამ დროს ყველაზე კარგია, მოვუსმინოთ და შევხედოთ იმ ადამიანების გამოცდილებას, ვინც ეს გზა უკვე გაირა, გავითვალისწინოთ მათი რჩევები. ისინი ყოველთვის გაგვამხნევებენ და აგვიმაღლებენ მოტივაციას, გავაგრძელოთ დაწყებული საქმე და არ დავნებდეთ. თუ ამ შიშებს გადავლახავთ და ჩვენს ძალებში მყარად ვიქნებით დარწმუნებული, მაშინ შემდგომ შემხვედრ პრობლემებს უფრო მომზადებულები და გაძლიერებულები შევხვდებით.

- რამდენად რისკიანი ადამიანი ხართ?

-ვერ ვიტყვი, რომ რისკიანი ადამიანი ვარ. მიყვარს ფიქრი და ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას კარგად დაფიქრებისა და გაანალიზების შემდეგ ვიღებ. თუმცა არ მაქვს მერყევი ხასიათი და მოცემულ პირობებში ყოველთვის მკაფიოდ შემიძლია, მივიღო გადაწყვეტილება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ოცნებებისა და სურვილების რეალიზება დამოუკიდებლად შევძელი. თუმცა ცხოვრება გრძელდება და გვიჩნდება ახალი ინტერესები. არ მიყვარს, როდესაც ერთ ეტაპზე დიდხანს ვრჩები, ყოველთვის მიჩნდება სურვილი ახალი გამოწვევების, განვითარების.

-რას ურჩევდით მომავალ თაობას?

-პირველ რიგში, პასუხისმგებლობის გრძნობა და დისციპლინაა საჭირო. ხასიათის ეს თვისებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმატების მიღწევას. ასევე დაუზარელი შრომა, რომელიც სწორად უნდა განხორციელდეს. აუცილებელია ნებისყოფა, რადგან ყოველთვის ისე არ გამოდის, როგორც ჩვენ ვგეგმავთ, ნებისყოფა გვეხმარება, წარუმატებელი ნაბიჯი გამოვასწოროთ და არასდროს დავნებდეთ. ვურჩევდი ახალგაზრდებს, ყველა ამ თვისებასთან ერთად დარჩნენ ხალისიანები, იყვნენ უფრო მეტად გახსნილები, კონკურენტუნარიანები და ტოლერანტები. არასდროს შური არ გაივლონ გულში, რადგან ისე არაფერი გვაშორებს წარმატებას, როგორც ბოღმით და შურით სავსე გული.

- სად ხედავთ საკუთარ თავს მომავალში?

-ჩემს თავს მომავალში ჩემს სფეროში რეალიზებულს ვხედავ. მინდა, მეტი ვნახო, ვიმოგზაურო, უფრო მეტი გამოცდილება დავაგროვო, მრავალფეროვანი გავხადო ჩემი ცხოვრება ახალი გამოწვევებით. კონკრეტულად ახლა ვერ ვიტყვი ზუსტად სად ვიქნები მომავალში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი საქმით ყოველთვის შევძლებ სიკეთის მოტანას ჩემი ქვეყნისთვის.

ლელა გუგულაშვილი

საკრებულოს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს

4 ივნისს საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს, რომელიც საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულს გზების სარეაბილიტაციოდ დამატებით 275,1 ათასი ლარი გამოეყო. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან კი სოფელ ბჟინევის სასოფლო გზის მოსაბეტონებლად -320,3 ათასი ლარი. გარდა ამისა, საბიუჯეტო ცვლილება შეეხო სსიპ ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის საბავშვო ბაღს. როგორც ვლადიმერ გელაშვილმა განმარტა, 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს სკოლა - ინტერნატთან არსებული საბავშვო ბაღის მოსამსახურეთა ხელფასი დაიგეგმა მხოლოდ ოთხი თვის, ვინაიდან აღნიშნული ბაღი გაერთიანებაში შემავალ ბაღებთან უნდა გაერთიანებულიყო. თუმცა, ობიექტური მიზეზების გამო, გაერთიანება ვერ მოხერხდა და მოსამსახურეთა ხელფასების ასანაზღაურებლად დამატებით 18,6 ათასი ლარია საჭირო. საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, ასევე ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 3,6 ათასი ლარი მიიმართა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამ თანხით საგანმანათლებლო მედიაპროექტ ,,ეტალონში" პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეთათვის ლეპტოპების შეძენა მოხდება.

საკითხთან დაკავშირებით საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა კომისიის დასკვნა წარმოადგინა. როგორც თანამომხსენებელმა განმარტა, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება და მხარი დაუჭირა. აქვე ვარლამ ჭიპაშვილმა ყურადღება ბრაილის შრიფტით წერა-კითხვის შემსწავლელ პროგრამაზე გაამახვილა და დასძინა, რომ აუცილებელია ამ პროექტის გაგრძელება. ,,დაახლოებით 7 ათასი ლარია საჭირო და ამ რესურსის მოძიებაზე უნდა იმუშაოს ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრმა". ვფიქრობ, რეორგანიზაციის შედეგად შიდა რესურსი გამოიძებნება. ვესაუბრე ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელს, თუმცა, მან როგორც განმარტა, ამ ეტაპზე ფინანსები არ გააჩნიათ."-აღნიშნა ჭიპაშვილმა.

ვლადიმერ გელაშვილის თქმით, აღნიშნული პროგრამა აუცილებლად განხორციელდება და იგი ოთხთვიანი იქნება. თუმცა როდის დაიწყება სწავლება, გელაშვილის განმარტებით, ჯერ-ჯერობით გადასაწყვეტია.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში მომღერალი ლაშა ღლონტის კონცერტი გაიმართა

ხარაგაულში ყველასთვის საყვარელი მომღერლის, ლაშა ღლონტის, კონცერტი ჩატარდა. ლაშას თაყვანისმცემლებს დარბაზი ვერ იტევდა. კონცერტის დაწყებამდე მომღერალი დამსწრეთ მიესალმა და განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ ხარაგაული ულამაზესი ბუნებითა და კულტურული საზოგადოებით გამოირჩევა. ასევე გამოგვიტყდა, რომ არსად ისე არ ეშინია სიმღერის, როგორც აქ, რადგან მუნიციპალიტეტში მუსიკალური განათლების დონე საკმაოდ მაღალია. მომღერალი მსმენელის წინაშე სპეციალურად შერჩეული რეპერტუარით წარდგა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა თანამედროვე ქართული ესტრადის ერთ-ერთ გამორჩეულ მომღერალს. კონცერტი დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა და ყველა შესრულებულმა ნომერმა მხურვალე აპლოდისმენტების ფონზე ჩაიარა. მომღერალთან ერთად მუსიკალური ნომრები შეასრულა ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა.

დასასრულს ლაშა ღლონტმა მადლობა გადაუხადა როგორც მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ თოფურიძეს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც ღონისძიების ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა.

კონცერტს, რომელიც კინოთეატრში ჩატარდა, ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე არჩილ მაღრაძე, საკრებულოს წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, მოწვევით, ლაშა ღლონტის კონცერტზე სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებიც იმყოფებოდნენ.

ეკა შავიძე

ბორის სკოლა-პანსიონს ამერიკელი მოხალისეები სტუმრობდნენ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორის სკოლა-პანსიონი არასამთავრობო ორგანიზაციის „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის" ეგიდით უკვე რამდენიმე წელია, ამერიკელ მეგობრებთან თანამშრომლობს, რომელთა დახმარებით სკოლაში სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციები ეწყობა. აქ ფუნქციონირებს ასევე სამოქალაქო კლუბი -„სმარტკლუბი", რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახებისთვის სოციალურ პროექტებს ახორციელებს. ამერიკელი მოხალისეები ყოველი წლის გაზაფხულზე ჩამოდიან ბორში და მათივე დაფინანსებით სკოლაში არსებული წრეების მუშაობას ადგილზე ეცნობიან. გამონაკლისი არც მიმდინარე წელი ყოფილა. ამერიკელები ბორის სკოლას რამდენიმე დღე სტუმრობდნენ. ვიზიტის ფარგლებში პედაგოგებსა და მშობლებსაც შეხვდნენ და პანსიონში არსებულ პრობლემებს გაეცნენ.

პირველ ივნისს სკოლაში დასკვნითი ღონისძიება მოეწყო, რომლის ფარგლებში ინტელექტუალური თამაში „ნიჭიერი" გაიმართა. მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ნომრებს კომპეტენტური ჟიური აფასებდა, რომელიც ამერიკელი სტუმრებისგან იყო დაკომპლექტებული. პირველ სამ ადგილზე გასულთ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიებას ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე, სკოლის პედაგოგები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

სკოლის დირექტორმა ჰამლეტ ბერაძემ მადლობა გადაუხადა ახლად დანიშნულ რესურსცენტრის უფროსს სტუმრობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალბატონი მარინეს მამა, ბატონი ვარლამ ვეფხვაძე, გარკვეული წლების განმავლობაში ბორის სკოლა-პანსიონს ხელმძღვანელობდა.

ეკა შავიძე

ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲯᲠᲨᲘ „ᲠᲐ? ᲡᲐᲓ? ᲠᲝᲓᲘᲡ?" ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲛ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ

2 ივნისს საქართველოს 73 მუნიციპალურ ცენტრში ერთდროულად ყველაზე მასშტაბური შეჯიბრი - „ინტელექტის დღე-2018" გაიმართა. ხარაგაულში ,,რა? სად ? როდის" დაბის მე-2 საჯარო სკოლაში მოეწყო და მასში მუნიციპალიტეტის 17 საჯარო სკოლის გუნდი ჩაერთო. თამაში მეტად საინტერესოდ წარიმართა და ახალგაზრდებმა ცოდნის მაქსიმალური დონე გამოავლინეს. საბოლოოდ გამარჯვება მე-2 საჯარო სკოლამ მოიპოვა, მეორე ადგილზე კი ვახანის გუნდი გავიდა.

,,ინტელექტის დღეს" ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე დაესწრო, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩემპიონატის მიზანი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე- ახალგაზრდობის ინტელექტუალური დონის ამაღლება, მათი მოტივირება და ნიჭიერი ბავშვების წარმოჩენაა. ქალბატონი მარინე ამბობს, რომ მსგავსი ტიპის პროექტები ახალგაზრდების შესაძლებლობათა თვითრეალიზაციას უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჩემპიონატი ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?" წელს უკვე მეექვსედ იმართება. მიმდინარე წელს პროექტში 1300-ზე მეტი სკოლა ჩაერთო და 10 000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული გუნდები თბილისში სუპერფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, სადაც გამოვლინდება ყველაზე საუკეთესო. სუპერფინალში მათ 36 შეკითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა. გამარჯვებულებული კი პრიზებითა და დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

ეკა შავიძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ „ᲕᲐᲚᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ" ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში კლასიკური მუსიკის კონცერტი „ვალსების საღამო" გაიმართა. სკოლის აღსაზრდელები ქართველი და უცხოელი კლასიკოსების მიერ შექმნილი ნაწარმოებებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე და მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

პატარა შემსრულებლებმა წარმოადგინეს შოპენის, ჩაიკოვსკის, შუბერტის, ვებერის, შტრაუსის, გლინკას და სხვა ცნობილი მუსიკოსების საუკეთესო ნაწარმოებები. საღამო მეტად შთამბეჭდავად წარიმართა და მსმენელთა დიდი სიამოვნება მიანიჭა.

ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და პედაგოგებსა და მოსწავლეებს ნაყოფიერი საქმიანობისათვის მადლობა გადაუხადა. მან ასევე ისაუბრა ,,მომავლის ვარსკვლავების" შესახებ, რომელშიც ხარაგაულის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ და დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ამავე დღეს ლალი ალექსიძემ აღნიშნული კონკურსის მონაწილეებს სიგელები გადასცა.

აღსანიშნავია, რომ „ვალსების საღამო" ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარდა.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე, საკრებულოს დეპუტატები, პედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

ეკა შავიძე

სპექტაკლი ეროვნულ გმირს მიეძღვნა

ორი წლის წინ ბორჯომს ეწვია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქართული ზეპირმეტყველების ნამდვილი ოსტატი სცენარისტი, რეჟისორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე. აღსანიშნავია, რომ თეატრი, თვით იზა ვეფხვაძის ძალისხმევითაა დაარსებული და მის რეპერტუარში უკვე ამ უნიჭიერესი ქალბატონის 60 საავტორო სპექტაკლია.

იმჯერად იზა ვეფხვაძემ, როგორც ,,დიდ წინაპართა გამცოცხლებელმა", მართლაც ცოცხლად წარმოგვიდგინა საამაყო მწერალი გოდერძი ჩოხელი სპექტაკლით ,,ამ მიწის ბედი ჩემი ბედია". დიდხანს გაჰყვათ ბორჯომელებს მაშინდელი ემოცია. ახლა, ორი წლის შემდეგ, ძალიან გაიხარეს, როცა შეიტყვეს, რომ ეს სახელოვანი თეატრი კვლავ ესტუმრებოდა ბორჯომს საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით და იზა ვეფხვაძე უჩვენებდა სპექტაკლს ,,საქართველოს შიშველი სატივარი", რომელიც ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს, ეროვნულ გმირს-მერაბ კოსტავას. მოწვევის ინიციატორი იყო ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება. მაყურებლით სავსე დარბაზი სულგანაბული უსმენდა მსახიობს, თითქოს ამოსუნთქვისაც ეშინოდათ, მყუდროება რომ არ დაერღვიათ. ყველამ ვიცოდით მერაბ კოსტავას ცხოვრების გზა, მაგრამ სულ სხვაგვარად, გამოოგხებელ ბურუსში გაგვხვია ქალბატონ იზას მიერ გაცოცხლებულმა ნამებული მამულიშვილის ცხოვრების ეპიზოდებმა. მერაბის ხსოვნის საღამოს ესწრებოდნენ დიდი მიხეილ თამარაშვილის შთამომავლები. დამსწრენი აღტაცებას ვერ მალავდნენ და მადლობას უხდიდნენ ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებას ასეთი არაჩვეულებრივი საღამოსათვის.

ლიანა ანდღულაძე-ეკონომისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე: ,,ქალბატონი იზა ერის საუნჯეა. იგი უნიჭიერესი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანია. მისი ნიჭი ჩემში გაოცებასა და აღტაცებას იწვევს. ჩემი სურვილია, ქალბატონ იზას ღონისძიებებზე მოვიწვიოთ ახალგაზრდები, უფროსკლასელები, რათა უკეთ გაიცნონ საქართველოს ისტორია, ჩვენი დიდებული წარსული".

ელგუჯა ჩიტაძე-ბორჯომის მკვიდრი პენსიონერი: ,,ქალბატონი იზა უფლის დიდი საჩუქარია არა მარტო ხარაგაულისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. აღტაცებული ვარ მისი ნიჭით, უშრეტი ენერგიით. როცა გავიგეთ, რომ ბორჯომში მოიწვიეს, ძალიან გავიხარეთ, რადგან მას უკვე ვიცნობდით გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი სპექტაკლიდან ,,ამ მიწის ბედი ჩემი ბედია", დღეს კი მეორედ მქონდა ბედნიერება მასთან შეხვედრისა. ამჯერადაც გაოგნებული დავრჩი ზღვა ემოციით, როდესაც ვიხილე მისი საავტორო სპექტაკლი ,,საქართველოს შიშველი სატივარი". გაიხარეთ და იდღეგრძელეთ თქვენს ოჯახთან ერთად, ქალბატონი იზა!"

მარინე ვეფხვაძე- მუსიკოსი: ,,სიტყვები ვერ დაიტევს იმ სიხარულს, იმ ბედნიერებას, რაც განვიცადე ჩემი საამაყო მოგვარის, იზა ვეფხვაძის, გაცნობითა და მის საოცარ ხელოვნებასთან შეხვედრით. ათასი მადლობა იზას პედაგოგს, ჩემი ან განსვენებული მამის, კაკო ვეფხვაძის, თანასოფლელს, თეთრაწყაროელ მერი გიორგიძეს, რომელმაც წინასწარ მაცნობა ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის ბორჯომში მიწვევის შესახებ. ვუყურებდი სპექტაკლს და თავი ზღაპარში მეგონა, ცრემლები ღაპაღუპით მდიოდა...რა ბედნიერი იქნებოდა მამაჩემი, ხელოვნების ტრფიალი კაკო ვეფხვაძე, რომ ბორჯომის კულტურის ცენტრის სცენაზე თავისი გვარის მშვენება-იზა ვეფხვაძე ეხილა...

მადლობა უფალს, რომ ჩემს წინაპართა სამკვიდრო მიწიდან, ხარაგაულიდან, მოუვლინა მთელს საქართველოს უნიჭიერესი და უმშვენიერესი ქართველი ქალი-იზა ვეფხვაძე."

ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანების სახელით, საბიბლიოთეკო გაერთიანების კოორდინატორი

ნაირა ალხაზიშვილი

ᲛᲐᲠᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲖᲐᲝᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲗᲐᲗ

კომპანია „კარფურის" წარმომადგენლებმა მარელისის სკოლამდელი მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებს საჩუქრები გადასცეს. აღნიშნული აქციის განხორციელება კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ნინო რამიშვილმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ა/ო „სიდას" ჟურნალისტმა ლიკა კასრაძემ აღნიშნული ბაღის შესახებ ინფორმაცია მოამზადა.

ტელევიზორი, ელექტროჩაიდანი, ჭურჭელი, ტკბილეული, პირველადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებები და სათამაშოები ბავშვებისთვის - ეს იმ სასაჩუქრე პაკეტების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მარელისის მზაობის ჯგუფს გადაეცა.

როგორც ნინო რამიშვილმა აღნიშნა, კარგი იქნება, თუ სხვა კომპანიებიც ჩაერთვებიან მსგავს აქციებში და ამ ულამაზესი სოფლის პატარების გახარებაზე იზრუნებენ.

„როდესაც ვნახეთ ამ ბავშვების სურათები და მათ შესახებ მომზადებული სტატია, დიდი სურვილი გაგვიჩნდა, ჩამოვსულიყავით და ჩამოგვეტანა საჭირო პროდუქტები. ჩვენი კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. დარწმუნებული ვარ, ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია და სხვა ორგანიზაციებიც შემოგვიერთდებიან. მომავალშიც აუცილებლად ვესტუმრებით ბაღს და გავითვალისწინებთ მათ საჭიროებებს. მნიშვნელოვანია ასეთი ცენტრის არსებობა სოფელში და ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი აქ მცხოვრები ბავშვების განვითარებას", - განმარტა ნინო რამიშვილმა.

ბაღების გაერთიანების დირექტორმა, მამუკა ჭიპაშვილმა, პატარების გახარებისათვის მადლობა გადაუხადა სავაჭრო ქსელ „კარფურს" და არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდას" წარმომადგენლებს. როგორც ჭიპაშვილმა განმარტა, თუ სოფელში აღსაზრდელების მზარდი კონტინგენტი დაფიქსირდა, შესაძლებელია, მუნიციპალური საბავშვო ბაღი აშენდეს.

შეგახსენებთ, რომ მარელისში ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი გასული წლის სექტემბერში გაიხსნა. აღნიშნული პროექტი ხარაგაულში საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკამ" პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პარტნიორობით განახორციელა. ბაღი აღიჭურვა ავეჯით, სათამაშოებით და სხვა საჭირო ინვენტარით.

ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფი 3 და 5 წლის ასაკის ბავშვებზეა გათვალისწინებული. ამ ეტაპზე ბაღში 14 აღსაზრდელია.

პროექტი ერთწლიანია და ამ ხნის განმავლობაში ყველა ხარჯს საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა" დაფარავს. ერთი წლის შემდეგ კი ვალდებულებას ადგილობრივი ხელისუფლება აიღებს. ალტერნატიული სკოლამდელი განათლების ჯგუფს აღმზრდელ-პედაგოგი, თამარ მაისურაძე, ემსახურება.

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12